ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა ქედა

N 46
11/06/2020

46-04-4-202006111528

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი
სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 53-ე მუხლის და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 ივნისის №01-07/06 ბიუროს სხდომის ოქმის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. მოწვეული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/06 მორიგი სხდომა 2020 წლის 12 ივნისს დღის 11:00 საათზე.
2. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/06 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი, თანახმად დანართი №1-სა.
3. დანართი №1 წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს.
4. მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ ეცნობოს საკრებულოს წევრებს და ქედის მუნიციპალიტეტს მერს ლევან გორგილაძეს.
5. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის რეკომენდაციების, მათ შორის სხდომის მონაწილეთა სოციალური დისტანციის დაცვა.
6. საქართველოს მთავრობის რეკომენდაციების დაცვის მიზნით სხდომის ჩატარების ადგილად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე სააქტო დარბაზი (მის.:დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ. №3).
7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს - მუხრან სალაძეს.

8. ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი №1

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 ივნისის №01-06/06
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. **„„ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10-ე დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე